პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
შაბათი, 30 აგვისტო 1924 წ.
წელიწად-მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მეომარი

№ 586 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ვალიკო ჯუღელის წერილის გამო.

დღევანდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულია ვალიკო ჯუღელის წერილი.

იგი, როგორც მკითხველმა იცის, სულ ეხლახან დაატყვევეს.

ჯუღელის განცხადებაში ჩვენთვის ახალი და მოულოდნელი არაფერია.

იგი, საინტერესოა ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც ნათქვამია თვით მენშევიკ ბელადის მიერ.

ვინც წერილს გულდასმით წაიკითხავს აშკარად დაინახავს, რომ მენშევიკებს გარდა არეულობა-ავანტიურისა ეხლა არა აინტერესებდათ რა.

ჯუღელი ჩამოსული იყო საქართველოში აჯანყების მოსაწყობად. იგი ჯერ კიდევ აპრილში ესტუმრა საქართველოს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვერ პოვა გამოძახილი ხალხში.

რატომ?

იმიტომ რომ მშრომელმა ხალხმა კარგა ხანია ზურგი შეაქცია მათ და ერთხელ და სამუდამოთ სულ სხვა გზას დაადგა, ვინემ ბ. ჟორდანია და მისი აქ წარმოგზავნილი ვალიკო ჯუღელი მიუთითებდენ.

მენშევიკებმა ვერ შესძლეს მშრომელი ხალხის ინტერესების დაკმაყოფილება; ხალხი ჩამოცილდა მათ. მაგრამ ისინი მაინც ილაჯს არ იტეხდენ და ხალხს ავანტიურისაკენ მოუწოდებდენ.

რა სურდათ? რა უნდოდათ?

დღეს ყველამ აშკარად იცის, რომ მშრომელი ხალხის ინტერესებს ვერავინ ვერ იცავს, გარდა კომუნისტურ პარტიისა.

თავის ბატონობის დროს მენშევიკებს არა გაუკეთებიათ რა არც საქართველოსთვის და არც მის მცხოვრებლებისთვის.

ერთად ერთი გაკეთება ის იყო რომ მიწა ძველ მეპატრონეს ხელში დატოვეს და ამ ნიადაგზე აჯანყებულ გლეხობას თოფითა და ზარბაზნით გაუმასპინძლდენ.

საბჭოთა მთავრობის გამკვიდრებისთანავე ჩვენში გადაწყდა ამშენებლობის და მიწის საკითხი. მიწის კომისიებმა ჩქარის ნაბიჯით გაატარეს მიწის ჩამორთმევა; იგი დაურიგდა უმიწაწყლო გლეხობას.

მთელ მხარეში სწარმოებს აღმშენებლობითი მუშაობა.

ვაგვყავს არხები, რკინის გზები, ვაშენებთ სკოლებს, საავადმყოფოებს და სხვა.

მშრომელი მასა ხედავს ამას და კიდევაც მადლიერია.

უკმაყოფილოა მხოლოდ და მხოლოდ თავად-აზნაურობა.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

განა მადლიერი დარჩება თავადი, რომელიც მუდამ ლოგინად ჩრდილში გორავდა, სასიმინდე და ბეღელი კი სავსე ქონდა სიმინდით და პურით?

დღეს ხომ მას ჩვენებრ გუთანზე და კავზე მუშაობა ესაჭიროება?

ამას მენშევიკებიც კარგად ხედავენ და ვალიკო ჯუღელის პირით აცხადებენ, რომ საქართველოს მშრომელ ხალხს ასაჯანყებელი არაფერი აქვს; მით უფრო, რომ ერთა თვითგამორკვევის საკითხი ისე არავის არ გადაუჭრია როგორც ეს კომუნისტურმა პარტიამ გადაჭრა.

აქედან აშკარად სჩანს, რომ უარმიო მენშევიკების ბელადებს თუ სურთ ხალხში არევ-დარევის შეტანა, ეს მხოლოდ საკუთარი თავის გასაბატონებლად; ძალა-უფლებისათვის და მეტი არაფერი.

ბევრმა შეიგნო ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ აჯანყების ცდა ამაოა საქართველოში.

იგი მომაკვდინებელი ცოდვაა ხალხის წინაშე.

წარმოსთქვა ეს ვალიკო ჯუღელმაც და ხელი აიღო თავის ყაჩაღურ განზრახვებზე.

ჯუღელის წერილი ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ ადასტურებს მენშევიკების განზრახვების უსაფუძვლობას და საჭიროა ეს შეიგნოს ყველა ჯურის ავანტიურისტმა დროზე.

თორემ ბოლოს, როდესაც მშრომელი მასა საკუთარ ხელით ეცდება მათ გასწორებას, გვიან იქნება „თითებზე კბენანი“.

პროფინტერნის მოწოდება.

პროფინტერნის აღმასბიურომ წერილით მიმართა ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ავსტრალიის და სხვა ქვეყნის მუშებს, გაერთიანებულ ამსტერდამის ინტერნაციონალს და ამსტერდამის ინტერნაციონალის პროფკავშირთა პრეზიდიუმს.

ბელგიის პროფკავშირთა კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლიუციის შესახებ, რომელშიაც უკრძალავენ კომუნისტებს დაიკავონ ხელმძღვანელთა თანამდებობა პროფკავშირებში:

,,დემოკრატიზმის იდეების მებრძოლებმა ფეხქვეშ გასთელეს თავისი პრინციპები, როცა საქმე მიდგა თავის დაცვაზე გაძლიერებულ რევოლიუციონურ ტალღისაგან.

რიგის მუშას არ აქვს უფლება თავისუფალი ხმის მიცემისა თავის პროფკავშირს შიგნითაც კი. ბელგიისა და სხვა ქვეყნების მუშებმა იციან ეს და წითელი პროფინტერნის აზრიც, რომ ბელგიის პროფბიუროკრატებს არ შეუძლიათ გამოიწვიონ განხეთქილება.

მაგრამ ჩვენ გვინდა გავიგოდ პასუხი—არის თუ არა ბელგიის პროფკავშირთა პოლიტიკა ამსტერდამის ინტერნაციონალის პოლიტიკა და თუ ეს ასე არ არის, რატომ არ ჰგმობენ ბელგიის ,,რასკოლნიკების‘‘ საქციელს‘‘.

ჩვენ მოუწოდებთ ბელგიის მუშებს აღიმაღლონ ხმა მათი დამცირების წინააღმდეგ.

ამხ. მუშებო!

ასეთ მძიმე დღეებში საჭიროა შეერთება ერთ მტკიცე მებრძოლ არმიად.

ძირს ფაშიზმთან თანამშრომლობა!

მთელი ძალა და ენერგია—ბრძოლის ერთიანობისათვის!

პროფინტერნი და ხეგლუნდი.

პროფინტერნის აღმასკომის ბიუროს სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება სკანდინავიის სახელმწიფოების შესახებ, რომელიც ადასტურებს რომ შვეციის კომპარტიის დაშლა უკვე მომხდარი ფაქტია.

პარტიის აღმასკომი გაიყო ორ ნაწილად უმრავლესობას მეთაურობს ხეგლუნდი, ხოლო უმცირესობას კი ჩიბლუმი.

პროფინტერნის აღმასკომის ბიურომ დაადგინა, რადგანაც სადაო საკითხები პარტიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი არიან და მეორე მხრივ ხეგლუნდისა და მის მიმდევართა პოზიცია გაურკვეველია პროფესიონალურ თვალსაზრისით, პროფინტერნის მოქმედება შეუთანხმდეს ამ საკითხში კომინტერნსა და მოქმედების კომიტეტს.

ახალი გაწვევა

წითელი მეთაურების სახელოსნოები—სამხედრო სკოლები.
მეთაურს ეჭირვება არა მარტო ცოდნა, არამედ მისი გამოყენებაც.
წითელ არმიელები ესწრაფვიან სამხედრო სკოლებისაკენ.
როგორი პირობებია საჭირო სკოლებში შესასვლელათ.

ვინ უნდა გაიგზავნოს სამხ. სასწავლებლებში.

არმიის მთავარსარდლის ამხ. პუგაჩოვის წერილი.

ახლო ხანებში დაიწყება სამხედრო სასწავლებლებში (ნორმალური სკოლები) შემსვლელ მსურველთა გაწვევა, რომელთაც ფიქრად აქვთ მიიღონ სამხედრო ცოდნა, წითელ მეთაურებათ გახდომის მიზნით. ყველა ჩვენი სკოლები დაარსებულნი არიან სამოქალაქო ომის დროს, როდესაც საჭიროება უფროსთა შემადგენლობაში დიდი იყო და მეთაური გვჭირდებოდა არა წლეების შემდეგ, არამედ დღეს ან ხვალ, სხვანაირად ვერავინ წაიყვანდა წითელ არმიას რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ.

სამხედრო სკოლებში, ან უფრო სწორად მეუფროსეთა კურსებზე სწავლის ვადა გრძელდებოდა არა უმეტეს 4-6 თვემდე. მაშინ მეტი არც იყო საჭირო, რადგანაც წითელი არმია აწარმოებდა რევოლიუციონურ ბრძოლას, სამოქალაქო ომს, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა, სახელდახელოთ შეკრებილი თეთრი არმია, რომელიც ყოველთვის არ იყო კარგათ გაწვრთნილი და ტეხნიკურადაც ოდნავ სჯობნიდა წითელ არმიას.

წითელ მეთაურებიდან მაშინ საჭირო იყო მეტი რევოლიუციონური ცეცხლი, ვიდრე ცოდნა და ნიჭი.

სამოქალაქო ომების ხანამ გაიარა. ჩვენ უკვე გადავედით არმიის მშვიდობიან აღმშენებლობაზე. წითელი არმია უნდა მოემზადოს უფრო ძლიერ მტრების თავდასხმის უკუსაქცევათ, მათი არმიები კარგათ მოწყობილნი, გაწვრთნილი და ნასწავლნი არიან, ხელთ აქვთ მთელი ძლიერებანი თანამედროვე სამხედრო ტეხნიკისა. ეხლა უკვე აღარ კმარა მათთან საბრძოლველათ მარტო რევოლიუციონური აღფრთოვანება. მოგვიხდება ვებრძოლოთ მათ იმავე საშვალებებით და იარაღებით, რომელნიც მათ განკარგულებაში იქნება.

წითელი არმიის მეთაური უნდა იყოს ფრიად განათლებული, მას დაკისრებული ექნება დიდი მოვალეობა—შეასწავლოს წითელ მხედარს სამხედრო საქმე და ყოველ გვარ ტეხნიკურ საშვალებათა გამოყენება, განავითაროს და აღზარდოს მასში ყველა ის თვისებები, ურომლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება, აღზარდოს იგი პოლიტიკურად.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი მეთაურის გამოსამუშავებლათ რამოდენიმე თვე არ კმარა—საჭიროა რამოდენიმე წელი სამხედრო საქმის სხვა და სხვა დარგების სათანადოთ შესათვისებლათ ისე, რომ მიღებული ცოდნის გამოყენება შეეძლოს საქმეზე. გარდა ამისა, წითელი მეთაური, რომელმაც სხვები უნდა აღზარდოს თვით უნდა იყოს კარგად აღზრდილი და უნდა ჰქონდეს ძლიერი ნების ყოფა. მეთაურის მუშაობა არ იქნება ადვილი, იგი არამედ თუ თითონ უნდა შეკრთეს საშიშროების წინაშე, არაც გამარჯვებისაკენ უნდა წაიყვანოს ის მუშები და გლეხები, რომელნიც იქნებიან მისი სარდლობის ქვეშ. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი უმაღლესი მოვალეობა დაკავშირებულია დიდ პასუხის მგებლობასთან, რისთვისაც სკოლებში გასაგზავნ მსურველთა შორის უნდა ამოვარჩიოთ ჭეშმარიტად ღირსეული კანდიდატები.

ჩვენი არმიის წითელ არმიელთა უმრავლესობის დიდი სურვილი აქვს სწავლის და ცოდნის მიღების. სამხედრო სკოლებში შესასვლელათ ბევრი არაფერია საჭირო: უნდა იცოდე წერა-კითხვა, ოთხ არითმეტიკული მოქმედება, იცოდე საბჭოთა კავშირის და წითელი არმიის ამოცანები. ასეთ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ ძალიან ბევრნი, მაგრა სკოლები ყველას ვერ მიიღებენ, რადგანაც ჯერ ერთი, სკოლების ტევა განსაზღვრულია თანახმად წითელ არმიის მოთხოვნილებებისა მეუფროსეთა შემადგენლობაში, და მეორეც ჩვენ ეხლა გვყავს ბევრი ისეთი წითელი უფროსები, რომელთაც დაამთავრეს მოკლე ვადიანი კურსები და ეხლა საჭიროებენ სწავლის დასრულებას.

ამიტომ წითელ არმიელთათვის გათვალისწინებული ადგილები სკოლებში მისაღებათ, არაა ბევრი. ყველა მსურველთაგან, მოგვიხდება ამოვარჩიოთ უფრო ღირსეულნი, რომელნიც იქნებიან:

1) უფრო მომზადებულნი იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრივ, რომელიც აღნიშნულია ზემოთ,

2) რომელთაც უკეთ შეითვისეს პირველ დაწყებითი სამხედრო სწავლება, მათ რიცხვში კარგი მსროლელები,

3) ისინი, ვისაც უფრო შესწევს უნარი შეითვისონ ყველა ის საგნები, რასაც გაივლიან სკოლაში,

4) კარგი ყოფა-ქცევის და მეცადინი ხალხი,

5) უფრო შეგნებულნი პოლიტიკურად ე. ი. არა მხოლოთ ისინი, რომლებმაც შეითვისეს და შეიგნეს საბჭოთა კავშირისა და წითელ არმიის ამოცანები, არამედ შეიგრძნეს კიდეც მათი რაობა და ასეთები კი იქნებიან რ. კ. პ. (ბ) წევრები, ახკომკავშირელები და უპარტიოებიდან მუშები და უღარიბესი გლეხობა.

შესაძლებელია, რომ ასეთი მკაცრი გადარჩევის შემდეგ ბევრი ღირსეული და გულით სწავლის მონდომებული წითელ არმიელი დარჩეს დაუკმაყოფილებელი, მაგრამ ამან არ უნდა გაგვიტეხოს გული, რადგანაც თვითეულ წითელ არმიელს, თუ კი მას სერიოზული სურვილები აქვს შეუძლია მოხვდეს სკოლაში ამ წელში თუ არა მომავალ შემოდგომაზე მაინც და რაც უფრო მეტ ხანს მოათევს იგი უბრალო წითელ არმიელათ ან უნცროს მეთაურად, იმდენი მეტი რწმენა გვექნება ჩვენ, რომ იგი შესძლებს შემდეგში გახდეს ღირსეული უფროსი უფრო დიდ თანამდებობაზედაც.

ჩვენ ვეუბნებით სამხედრო სკოლაში შემსვლელ თვითეულ წითელ არმიელს, რომ მას სათანადო უნდა ჰქონდეს შეთვისებული იმ პასუხისმგებლობის მოვალეობა, რომელსაც იგი კისრულობს წითელ მეთაურათ გახდომისათვის მომზადებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონის კონფერენციის შემდეგ.

სარეპარაციო კანონ-პროექტების განხილვის წინ.

28 აგვისტოს რეიხსტაგში სწარმოებდა კანონ-პროექტების მე-3-ე კითხვა. ნაციონალისტებმა მოინდომეს რამოდენიმე შესწორების შეტანა ლონდონის შეთანხმებაში.

მაგრამ ეს შესწორებები არ მიიღეს რეიხსტაგის სხვა პარტიებმა.

შტრეზემანმა უკანასკნელად ურჩია ნაციონალისტებს მიიღონ კანონ-პროექტები, ვინაიდან თუ ეს კანონ-პროექტები დამარცხდა, იმ შემთხვევაში ძალაუფლებას კვლავ დაუბრუნდება პუანკარე.

საფრანგეთის პრესის გამოძახილი.

მომავალ კენჭის ყრის შესახებ რეიხსტაგში „ფიგარო“ ამბობს, რომ უბოროტესი მტრები გერმანიისა ეს არიან მისი ნაციონალისტები.

„გოლუა“-ს აზრით გერმანიის ნაციონალისტები იმიტომ ეწინააღმდეგებიან ექსპერტების პროექტებს, რომ მათ დახმარებას უწევენ ინგლისის მრეწველები.

ლონდონის ხელშეკრულების დამტკიცების საკითხი გერმანიის რეიხსტაგში.

„დეილი ტელეგრაფის შენიშვნა.

პუანკარეს განცხადების საპასუხოდ რომელიც ადარებდა კელნის ზონის მოსალოდნელ ევაკუაციას ინგლისელებისა, და კობლენცის ევაკუაციას ამერიკელების მიერ, „დეილი ტელეგრაფი“ შენიშნავს, რომ ამერიკამ დასცალა კობლენცი წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით, იმ დროს როცა ინგლისმა გადასწყვიტა კელნის ზონის ევაკუაცია განსაკუთრებით ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.

ლონდონის შეთანხმების ხელის მოწერის შესახებ.

30 აგვისტოს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელს მოაწერეს საბოლოოდ ლონდონის შეთანხმებას.

ხელს მოაწერენ გერმანიისა და მოკავშირეთა წარმომადგენლები.

იაპონია-საბჭოთა მოლაპარაკება.

გრძელდება იაპონია-საბჭოთა მოლაპარაკება. ირჩევა საკითხი სახალინის კონცესიებზე, მაგრამ დღემდის არავითარი შედეგი არ სჩანს.

ჩინეთი და საბჭოთა კავშირი.

დიპლომატიური ჩვეულების დარღვევა

ამერიკის ელჩმა **შერმანმა** განუცხადა იაპონიის ჟურნალისტებს, რომ პეკინის დიპლომატიური კორპუსის მდგომარეობა ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმების ხელის მოწერის შემდეგ საფუძვლიანად შეიცვალა.

მან დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და გადაიქცა საზოგადოებრივ ორგანიზაციად.

კარახანს სრული უფლება აქვს გახდეს დიპლომატიური კორპუსის მამასახლისი, მაგრამ ამ საპატიო წოდებას აქვს მხოლოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

კარახანი რომ გახდეს დიპლომატიური კორპუსის მამასახლისი, ამით შეიქმნება უმაგალითო მდგომარეობა, ვინაიდან სახელმწიფოების უმრავლესობა არ სცნობენ საბჭოთა კავშირს.

გარდა ამისა კარახანი და მისი მთავრობა იმდენად განირჩევიან სხვა წარმომადგენლების და მთავრობებისაგან, რომ აუცილებლად წამოიჭრება ყოველგვარი გაუგებრობა.

პუანკარეს „დამარცხება“.

ერიოსა და პუანკარეს შორის გამართულ კამათში „დამარცხდა“ უკანასკნელი.

ბურჟუაზიული წრეების საზოგადოებრივი აზრი გაიმსჭვალა მემარცხენე ბლოკის პრინციპებით.

„იუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პუანკარე დარწმუნდა იმაში, რომ ერიო მისი პოლიტიკის გამგრძობია. ამრიგად—ამბობს გაზეთი—სოციალისტების გამცემლობა პროლეტარიატის მიმართ უფრო აშკარა ხდება, განსაკუთრებით მის შემდეგ, როცა პუანკარემ დაიცო მარცხენა ბლოკის პოლიტიკა, რომელსაც ასე მხურვალედ იცავენ სოციალისტები.

იტალია.

კუნძულის დაპყრობა იტალიის მიერ.

მუსოლინის მთავრობა ახლო მომავალში გამოაცხადებს ეგეის ზღვის ზოგიერთ კუნძულების შემოერთებას იტალიაზე, რომელიც დაკავებული აქვს იტალიის ჯარებს ჯერ კიდევ 1912 წელში.

საზღვაო ვარჯიშობის შედეგები.

იტალიის მთელი ნაციონალისტური პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოპოზიციაც კი ვერ გაბედავს დასძრას კრინტი იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა მოითხოვს ახალ მსხვერპლს გემებისა და ჰაეროპლანების ასაგებად.

ფრონტოვიკების გამორიცხვა პარტიიდან.

იტალიის ყოფილ ფრონტოვიკთა გამოსვლების გამო ფაშისტების წინააღმდეგ, უკანასკნელებმა გამორიცხეს პარტიიდან დეპუტატი მადზოტო, რომელიც ეკუთვნოდა ფრონტოვიკების კავშირს.

ფაშისტების აღმასკომს განზრახვა აქვს დაითხოვოს ფაშისტების სხვა დეპუტატებიც, რომლებიც შედიან ფრონტოვიკების კავშირში.

საბჭოთა ფედერაციაში

სავინკოვის დაპატიმრება.

აგვისტოს 20-ში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დააპატიმრეს ბორის ვიქტორისძე სავინკოვი.

ვინ იყო სავინკოვი?

სავინკოვი აქტიური, შეურიგებელი მტერი იყო საბჭოთა კავშირისა.

ის იმალებოდა ყალბი ბილეთით ვინმე სტეპანოვის სახელზე.

სავინკოვი იყო ძველად სოციალისტ-რევოლიუციონერების ტერორისტულ ძალთა მეთაური, დროებითი მთავრობაში კი სამხედრო მინისტრის ამხანაგი.

23 აგვისტოს სავინკოვს ჩააბარეს საბრალდებულო ოქმი და უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაიწყო მისი გასამართლება.

საბრალმდებლო დასკვნა, სავინკოვის ჩვენება და სასამართლოს სხდომის ანგარიშები გამოქვეყნებულ იქნება ხვალ.

სავინკოვის გასამართლება,

ბრალდებული მშვიდად უსმენს საბრალმდებლო ოქმის კითხვას.

ოქმი ეხება სავინკოვის ბოროტ მოღვაწეობას 1917 წლიდან უკანასკნელ დღემდი. სასამართლომ დაამთავრა საქმე ოცდა რვა აგვისტოს.

ჩვენებაში სავინკოვმა შემცდარად აღიარა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და გადაჭრით უარყო თავისი ბრძოლა მომავალში.

მან გამოააშკარავა უცხოელ ინტერნაციონალისტების შავი საქმიანობა და განაცხადა, რომ ოქტომბრის რევოლიუცია სრულიად სწორი გამოდგა.

უკანასკნელი სიტყვა ბრალდებულმა დაათავა მოწოდებით ყველასადმი, ვისაც კი უყვარს თავისი ხალხი, ყოველ მიზეზის გარეშე იცნოს საბჭოთა ხელისუფლება და დაუბრუნდეს მას.

იძულებული არიან იცნონ კარახანი მამასახლისად.

როგორც სჩანს ამერიკის მთავრობა არ ფიქრობს ამ ჟამად დანიშნოს ელჩი პეკინში.

მიუხედავად იმისა რომ ამერიკამ არ იცნო ჯერ საბჭოთა კავშირი, მას სხვა სახელმწიფოებთან ერთად მაინც უნდა იცნოს კარახანი დიპლომატიური კორპუსის მამასახლისად და აწარმოოს მასთან მოლაპარაკება გადასახადების, პოლიციის დამცველ ზომების და სხვა საკითხების შესახებ, რაიც კი ეხება საელჩო საქმეს.

მზის დაბნელება.

30 აგვისტოს მოელიან მზის ნაწილის დაბნელებას, რომელიც შემჩნეული იქნება დილის თერთმეტ საათზე ადგილობრივი დროით.

მზის დაბნელება შესამჩნევი იქნება საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ ნაწილში და მთელ ციმბირში.

სასოფლო სამეურნეო გადასახადებზე შეღავათების შესახებ.

თანახმად სასოფლო-სამეურნეო გადასახადების ინსტრუქციებისა, იმ სამეურნეო საზოგადოებებს, რომელთაც თავის შემადგენლობაში ყავთ ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებადი შემადგენლობის პირები, შეუძლიათ გადაიხადონ სამეურნეო გადასახადი მათი ნაწილებიდან დაბრუნების ერთი თვის შემდეგ.

ს. ს. რ. კ. საფინანსო კომისარიატის შეთანხმების ძალით მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან, ის მოქალაქენი, რომლებიც დაბადებული არიან 1902 წ. ამასთანავე გაწვეული იყვენ წითელ არმიაში, სახლში დროებით გაშვების შემდეგ არ სარგებლობენ აღნიშნული შეღავათით.

ხანძარი ბორჯომის მახლობლად.

28 აგვისტოს ბორჯომის ახლოს ლიკანის რაიონში ჩაქრობილ იქნა დიდი ხანძარი, რომელიც სამი დღე მძვინვარებდა.

ხანძარის გაჩენის მიზეზია გლეხის გაუფრთხილებლობა, რომელსაც სურდა გამოეწვა მაჩვების ბუნაგები, რათა სიმინდის ყანა გადაერჩინა აოხრებისაგან.

გვალვისაგან გახურებულ ნიადაგის გამო ხანძარი სწრაფად გაძლიერდა და მოედო მოედანს 12 ქცევის სივრცეზე.

ბორჯომის აღმასკომმა, მილიციამ, ტყის ადმინისტრაციამ, გლეხობამ და წითელი არმიის ნაწილებმა, რომელსაც სასწრაფოდ გამოუძახეს სუმბათოვიდან შესძლეს ხანძარის ჩაქრობა, მიუხედავად მიუდგომელი ადგილ-მდებარეობისა.

საჭიროა აღინიშნოს წითელ არმიელთა რაინდული მუშაობა, რომელშიაც მათ გამოიჩინეს სრული შეგნება-სიმახვილე.

რადიო·ყოველ მხრიდან.

ერთა ლიგაში

8 სექტემბერს ჟენევაში მოხდება გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, და ბელგიის შრომის მინისტრების თათბირი 8 საათის სამუშაო დღის საკითხის შესახებ.

რეიხსტაგმა დაჰკარგა შრომის უნარი.

გერმანიის პრესის უმეტესობა სთვლის რეიხსტაგის დაშლას აუცილებლად, ვინაიდან მან დაჰკარგა საქმიანობის უნარი და მუშტი კრივისა და ჩხუბის ასპარეზად გადაიქცა.

პოლიტიკური წრეების აზრით ახალი არჩევნები მოხდება 26 სექტემბერს.

საგანგებო სესიის დასასრული.

ლოზანის ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ საფრანგეთის პალატები დაიშალენ ოქტომბრამდის.

კუნძული როდოსი.

საქმეს კარგად გაცნობილი იტალიის წრეები ამტკიცებენ, რომ იტალია ანექსიას გამოაცხადებს დოდეკანეზის კუნძულებზე, მათ რიცხვში როდოსზეც.

ეს მოხდა ლოზანის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

კიდევ ერთი მშვიდობიანობის ჩამომგდები.

როგორც იუწყებიან, მუსოლინი ერიოსა და მაკდონალდის მაგალითის მიხედვით, დაესწრება ერთა ლიგის ყრილობას.

ის მივა ჟენევაში სამ სექტემბერს.

ერცბერგერის მკვლელის გაქცევა.

უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში დღეებში აღმოაჩინეს გერმანიის მინისტრ **ერცბერგერის** მკვლელი ფაშისტი **ტილესსენი**.

ტილესსენი, პოლიციის უყურადღებობის გამო, მიიმალა.

მეორე მკვლელი შულცი იმყოფება ციხეში.

ამ საქმეზე ბუდაპეშტიდან გამოწვეულია გერმანიის ელჩი.

ვალიკო ჯუღელის წერილი

ღია წერილი

ყველა ამხანაგებისა და ყოფილ სახალხო გვარდიელებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო: ორ ნახევარი კვირის წინად მე მივსწერე „ზაჩეკადან“ ორი წერილი გარედ მყოფ ამხანაგების ვიწრო ჯგუფს. ამ წერილებში მე გამოვსთქვამდი ჩემს მოსაზრებებს აჯანყების საკითხზე. რადგან მე ჯერ კიდევ დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემი წერილები მივიდენ დანიშნულებისამებრ, და რადგან მე ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ დაყენებული საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია, მე გადავსწყვიტე ხელახლა მივმართო ამხანაგებს და ნათლად დავაყენო ეს საკითხი ქართველი ხალხის წინაშე.

მე წინასწარ ვგრძნობ ამ საკითხის დაყენების „ანორმალობას და უხერხულობას“ „ჩეკას“ სატუსაღო კამერიდან, მაგრამ რადგან მე არ მაქვს სხვა საშუალება გამოვსთქვა ჩემი აზრი (აზრის გამოთქმა კი აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია), ვსთხოვ ამხანაგებს გულდასმით წაიკითხონ ჩემი წერილი ბოლომდის და დაიჯერონ, რომ იგი არაა ნაკარნახევი „თავდაცვის ინსტიქტით“.

მე ჩამოვედი საქართველოში აპრილის შუა რიცხვებში. ჩამოსვლის შემდეგ ყველაზე დიდი დრო დავყავი გურიაში და მხოლოდ უკანასკნელი თვე ვიმყოფებოდი თბილისში. თქვენ ყველანი კარგათ მიცნობთ მე, რომ გაიგოთ, რომ მე ჩამოვედი საქართველოში არა „დასასვენებლად და გაზაფხულის შესახვედრად". ვაცხადებ სრულიად გულწრფელად და ყველას გასაგონად, რომ საქართველოში მე ჩამოვედი აშკარად განსაზღვრული მიზნით. ჯერ ერთი უშუალოთ გავცნობოდი საქმის ნამდვილ ვითარებას და მეორეც, თუ საქმის ვითარება ხელსაყრელი იქნებოდა, შევდგომოდი საყოველთაო აჯანყების მოწყობას.

გამოვდიოდი რა იმ მდგომარეობიდან, რომ რამდენადაც ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენცია—საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენთვის ხელსაყრელი იყო,—და აგრეთვე ვიღებდი რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მოსკოვი ყველგან ხმამაღლა აცხადებდა „ერთა თვითგამორკვევის უფლებას სრულ ჩამოშორებამდე", მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მოსკოვი ადვილად სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტს, რამდენადაც ქართველი ხალხი მართლადაც შესძლებდა ამ ფაქტის შექმნას და რამდენადაც ამავე დროს ამ ფაქტს მხარს დაუჭერდნენ ლონდონის კონფერენციაზე. უნდა დავუმატოთ, რომ მე სრულიად ქიმერულად და არასასურველად მიმაჩნდა მესამე სახელმწიფოს შეიარაღებული ჩარევა და საერთაშორისო მდგომარეობას სასურველად ვსთვლიდი იმ მხრივ, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე მხოლოდ ერთი ფაქტი „საქართველოს ოკუპაცია" ჰპოვებდა ისეთს მხურვალე გამოხმაურებას რომ მოსკოვი, რომელიც აცხადებდა თვითეული ხალხის დამოუკიდებელი არსებობის უფლებათა პატივისცემას იძულებული იქნებოდა დაუყოვნებლივ ეცნო და დაედასტურებია ეს საერთო სახალხო აქტი. ასეთი იყო ჩემი მოსაზრებანი.

მე არ შევჩერდები ამ „გატაცებასა და სასოწარკვეთილებებზე". შესაძლებელია სრულიად მოულოდნელი სასოწარკვეთილება იყო ფულის რეფორმის გატარება. მე შევნიშნე, რო მანეთის სტაბილიზაცია თანდათან სპობდა გლეხთა ზრახვების ერთგვარ „სტაბილიზაციას",... რაც მე საქართველოში მომელოდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ცნობების შეკრების და სისტემატიზაციის პროცესში,—სწორედ იმ მომენტში, როდესაც მე ვებმებოდი უშუალო მუშაობაში,—დამაპატიმრეს. ეს იყო 6 აგვისტოს, რა თქმა უნდა ამ დაპატიმრებაში არაფერი მოულოდნელი არ იყო, მაგრამ თვით დაპატიმრების ხასიათმა მე მწარედ ჩამაფიქრა: მე ერთბაშათ ვიგრძენი, რომ ეს არ ყოფილა შემთხვევითი დაპატიმრება. მართალია, აპატიმრებდენ ამხანაგებს ჩემამდისაც: უნდა ვსთქვა სიმართლე მათი დაპატიმრებაც „მაფიქრებდა" მე, მაგრამ ჩემთვის ჩემ დაპატიმრებას ჰქონდა განსაკუთრებული ხასიათი, ვინაიდან მე ჯერ კიდევ არ ვიყავი ჩაბმული მუშაობაში, თბილისში ჩემ ყოფნას შესახებ იცოდენ ძალიან ცოტა ამხანაგებმა და მე საქმე მქონდა დაჭერილი ამხანაგების ძალიან ვიწრო ჯგუფთან. და ჩემთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ ვიღაცამ სწორედ ამ „ვიწრო წრიდან" გამიწია მე „სამსახური". ჩემთვის ეს იყო ძალიან მძიმე სასოწარკვეთილება და მწარე აღმოჩენა. მე მივხვდი, რომ ჩემს „სახლში" ყველაფერი რიგზე არ არის და რომ მოწინააღმდეგეს აქვს თავისი „თვალები და ყურები" ჩვენს წრეში. დიახ, ეს იყო ძალიან მოულოდნელი და მძიმე აღმოჩენა. ამას ზედ დაერთო ფსიქოლოგიური განცდანი და ბოლოს მე განვიზრახე თავის მოკვლა: ღამით 7 აგვისტოს მე 6 ადგილას გავსჭერი მარცხენა ხელზე ძარღვები და რომ უფრო მეტად დავრწმუნებულიყავი შემდეგში, ყველა ჭრილობები ამოვავსე ჟანგით. სამწუხაროთ არაფერი არ გამოვიდა: მე მხოლოდ დავიტანჯე და მაინც ცოცხალი დავრჩი. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თავის მოკვლის განზრახვაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია „ჩეკას" რეჟიმს, მით უმეტეს, რომ თავიდანვე ეს რეჟიმი ჩემ მიმართ არაჩვეულებრივად ლმობიერი იყო.

თავის მოკვლის განზრახვამ მთელი აურ-ზაური გამოიწვია „ჩეკა"-ში. ყველანი შეკრთენ და, როგორც მე შევნიშნე, შეწუხდნენ კიდეც: „ჩეკას" ხელმძღვანელები, საქართველოს „ჩეკას" თავმჯდომარის ე. კვანტალიანის მეთაურობით, გამომელაპარაკენ. მე არ გავიმეორებ ყველა ამ ნალაპარაკევს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ლაპარაკი გამოიხატებოდა შემდეგში: ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ემზადებოდით აჯანყებისათვის; ჩვენ კარგად ვართ გაცნობილი თქვენს მუშაობას და აჯანყებას არ დაუშვებთ; მაგრამ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ავანტიურები, შეიძლება მოხდეს ცალკე გამოსვლები, მაგრამ ვისთვისაა ეს საჭირო? რა თქმა უნდა არა ქართველი ხალხისათვის. ამიტომ პირადათ თქვენ არ გაქვთ თავის მოკვლის უფლება. სანამ ეს საკითხი არაა ამოწურული" ამაზე მე უპასუხე, რომ აგერ 3 წელიწადია, ლაპარაკია აჯანყებაზე, მაგრამ ხომ არავითარი აჯანყება არ ყოფილა; მართალია, დღეს ეს საკითხი თითქოს უფრო გარკვეულადაა დაყენებული, მაგრამ ალბად ისეთივე შედეგები მოჰყვება მას, რომ პირადათ მე, როგორც რევოლიუციონერი და სოციალისტი ვაღიარებ ხალხის უფლებას აჯანყებაზე,—მაგრამ გადაჭრით უარვყოფ ყოველგვარ ავანტიურას, რომ აჯანყების საკითხი ფრიად ფაქიზია, რომ უკვე ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების ერთი ფაქტი, რომელიც მოხდა ჩემი დაპატიმრების შემდეგ, მაიძულებს სერიოზულად გადავსინჯო იგი და რომ ყველა ამ მოსაზრებით მე მზადა ვარ კრიტიკულად გადავსინჯო იგი, მით უმეტეს, თუ მაცნობენ იმ კონკრეტიულ ფაქტებს, რომელზედაც აქ იყო ნათქვამი.

მე შემპირდენ და მეორე დღეს მოქ. კვანტალიანმა მაჩვენა ძალიან სერიოზული დოკუმენტები, რომლებმაც ძალიან ჩამაფიქრა, ვინაიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ „ჩეკამ" ყველაფერი კარგად იცის. ყველაფერი ამის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში, რომ ჩვენს ოჯახში ყველაფერი რიგზე არ არის და როდესაც ამ ახალ აღმოჩენასთან ერთად გავიხსენე და ხელახლა ჩავფიქრდი ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას, და აგრეთვე მოვიგონე ზოგიერთი ჩემი სასოწარკვეთილებანი, უკუვაგდე ყოველგვარი მერყეობა. მე მივხვდი, რომ გაბედულად და ენერგიულად უნდა გადაისინჯოს და სრულიად მოიხსნას ეს მძიმე საკითხი, რომელიც 3 წლის განმავლობაში საქართველოს ჰაერში ფრიალებს, რომელიც, მართალია, არასოდეს არ ხორციელდება, მაგრამ არასოდეს არ ქრება. მე მივხვდი, რომ უნდა მოიკრიბო გამბედაობა ერთხელ და სამუდამოთ უარი ვსთქვა ამ წარმტაც და მტანჯველ ოცნებაზე, რომელსაც მიუხედავად მთელი თავისი მიმზიდველობისა აუცილებელი დაღუპვა მოელის, რომელიც აღსავსეა ყოველგვარი უბედურებით.

და ამის შემდეგ მე გადავსწყვიტე გამეზიარებია ჩემი თვალსაზრისი გარედ მყოფ ამხანაგებისათვის, მეცნობებია იგი მთელი საქართველოსათვის. და მე დავთანხმდი საშინელ პირობებზე, რომ მიმეღო ეს შესაძლებლობა; სრულიად გულწრფელად ვითხოვდი: „მომეცით ნელა მომქმედი შხამი, მე მას დავლევ აქვე, მაგრამ იმ პირობით, რომ შემდეგ გამანთავისუფლოთ, და მაშინ მე შევსძლებ სრულიად გაბედულად, არ შემეშინდება არავითარი ეჭვებისა, გამოვსთქვა ჩემი შეხედულება და გაბედულად გავილაშქრო აჯანყების თეორიის წინააღმდეგ. ჩემთვის საკმარისია 3 დღე. სამწუხაროთ ამის გაგონება არავის არ უნდოდა. და მაშინ შევიტანე ორი განცხადება საქართველოს „ჩეკას" თავმჯდომარის სახელზე. მაშინ მე ვსთხოვე ეჩვენებიათ მეტეხში მყოფი ამხანაგები, და მაჩვენეს კ. ჯაფარიძე, გ. ცისკარიშვილი და ტ. ასათიანი. მე მათ გავაცანი ჩემი თვალსაზრისი. ისინი დამეთანხმენ, მით უმეტეს, რომ ეს ყოფილა მათი ძველი თვალსაზრისი. ვთხოვე მათ ეცნობებიათ ჩემი შეხედულება გარედ მყოფ ამხანაგებისათვის."

ამის შემდეგ განვლო ორ კვირაზე მეტმა. მე კიდევ არ ვიცოდი გაიგეს თუ არა ჩემი შეხედულება გარედ მყოფმა ამხანაგებმა. მაგრამ ამავე ხნის განმავლობაში დაგროვდა ზოგიერთი ახალი ფაქტები და მოხდა ახალი დაპატიმრებანი და მარცხი, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში ეს რწმუნება და რამაც მაიძულა მე უფრო გაბედულად მემოქმედა. ამ მიზნით გადავსწყვიტე გადამედგა საბედისწერო ნაბიჯი: არ მქონდა რა არავითარი სხვა საშუალება, მე გადავსწყვიტე გამომექვეყნებია ეს ჩემი წერილი „ზაკჩეკადან" კომუნისტურ გაზეთების ფურცლებზე. ვიცი რა აღშფოთებას იწვევს ასეთი „გამოსვლები" არამარტო პარტიულ, არამედ უბრალო ობივატელურ წრეებში. ვიცი, რომ ბევრი ამ წერილს მიაწერს ჩემს სულმოკლეობას და სიმხდალეს. მაგრამ არა ამხანაგებო, ეს სულ მოკლეობა კი არა, ეს ჩემი რწმენაა. ამ წერილით მე სრულიადაც არ ვთხოვ ლმობიერებას და პატიებას, პირიქით, გაბედულად ვკისრულობ მთელ პასუხისმგებლობას. და არა იმისათვის, რომ დავიხსნა თავი, არამედ პირიქით, თუ საჭირო იქნება ჩემი სიკვდილით დავამტკიცო, რომ ყოველ ძალღონეს ვხმარობ ახალ უმიზნო მსხვერპლის თავის ასაცილებლად,—ვსწერ ამ სტრიქონებს. მე ვიცი, რომ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ეს ჩემი განცხადება გამოიწვევს თავშეუკავებელ სიცილს ან აშკარა ლანძღვა-გინებას და ამ გვარად მოვყვები მეგობრების და მოწინააღმდეგეთა ჯვარედინ, ორმაგ ცეცხლს შორის. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვსწერ ამ სტრიქონებს. მზადა ვარ მივიღო ეს ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა,—ვინაიდან ვფიქრობ ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანია ჩემ თვითგრძნობაზე, ხოლო ხალხის კეთილდღეობა უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემი. მე მინდა დავიჯერო, რომ ისინი, ვინც მიცნობენ, ვისაც უნახივარ საშიშარ მომენტებში და იციან, რომ მე არასოდეს არ გაურბოდი საშიშროებას, რომ ყველა ისინი, ვინც დარწმუნებულია ჩემს მოქალაქობრივ პატიოსნებაში, არ შეურაცხმყოფენ ბრალდებით სიმხდალესა და სულმოკლეობაში. ვარწმუნებ ყველას, მეგობრებსაც და მოწინააღმდეგებსაც, რომ არც ისე ძვირად მიმაჩნია ჩემი სიცოცხლე, რომ ამისათვის კომპრომისზე წავიდე სინდისთან, ჩავიდინო სისაძაგლე. თითქმის 20 წელიწადია ვემსახურები მუშათა კლასის ინტერესებს და ამ ხნის განმავლობაში მე არ შემიძენია არც სიმდიდრე, არც მდგომარეობა და არც ოჯახი. ერთად ერთი რაც მაქვს—ეს არის ჩემი კეთილი სახელი, ჩემი რევოლიუციონური პატიოსნება და მას, რა თქმა უნდა არ გავყიდი ჩალის ფასად, რათა სიცოცხლე შევინარჩუნო. და არა ამიტომ მოგმართავთ თქვენ ამ წერილით, რათა გული აიჩუყო გამარჯვებულებს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მიყვარს ადამიანები და ხალხი და მსურს თავიდან ავაშორო მას ყოველგვარი უბედურება.

რომ ჩემი „გამოფხიზლება" და „ფერისცვალება" არ არის შემთხვევითი და გამოწვეული „ტაქტიკური მოსაზრებით", ეს მტკიცდება იმ ფაქტებითაც, რომ თითქმის ყველა პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც ყოფილან „ჩეკა"-ში, აღგებოდენ ანალოგიურ თვალსაზრისს. მე მათ აქ არ დავასახელებ, მაგრამ ეს ფაქტია. და მე მახსოვს, რომ გარედ მყოფ ამხანაგებს გვაფიქრებდა ეს გარდაქმნა, მაგრამ ვცდილობდით აგვეხსნა ის „ჩეკას ჰაერის" გამხრწნელი გავლენით და ამიტომ ვურჩევდით მათ შეძლებისდაგვარად თავი შეეკავებიათ ახალ შეხედულებისაგან და ისინიც სდუმდენ. ეხლა მე თვითონ განვიცადე ეს „ჩეკას ჰაერის" საშინელი გავლენა და დავრწმუნდი, რომ ამ ჰაერის მთელი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ აქ უფრო ახლოს ეცნობი ჩვენი მუშაობის „უკუღმა მხარეს" მის ბნელ მხარეებს, რომლებიც იფარება და იჩრდილება წარმტაცი იდეოლოგიის ბრწყინვალე შუქით..

ვიმეორებ, თითქმის ყველა ამხანაგები, რომლებიც ჩემზე ადრე იყვნენ ჩეკაში, ამავე დასკვნამდე მივიდნენ. მაგრამ ისინი სდუმდენ. მე კი დუმილი არ შემიძლია. მე მგონია დადგა მომენტი, როდესაც ეს „შეხედულება ჩემთვის" უნდა გადაიქცეს „შეხედულებებად ყველასათვის", ფსიქოლოგიურათ ეს ძალიან ძნელია, მაგრამ ეს აუცილებლად საჭიროა.

მე გადალახული მაქვს მრავალი პირადი მოსაზრებანი, მე გადალახული მაქვს ალმატების და ეგოისტურ თავმოყვარეობის მძლავრი მომენტი და ვაკეთებ ამ საყოველთაო განცხადებას. ვაკეთებ ამას მით უფრო გადაჭრით, რომ მაქვს ზოგიერთი ახალი სერიოზული საბუთი, რადგან ზოგიერთ არსებით საკითხებში მე სწორედ აქ ამეხილა თვალი.

ამრიგად, ამხანაგებო, მე წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ გაარჩიოთ და შემდეგ სრულიადაც მოხსნათ საკითხი აჯანყების მოხდენის შესახებ, რამდენადაც იგი საზოგადოდ იდგა და ბურუსში ხვევდა მებრძოლ საქართველოს გონებას. მე კარგად ვიცი, რომ ამ მტკივნეულ საკითხის სრული მოხსნა, მოხსნა საკითხის, რომელიც ამდინ იმედს იწვევდა, ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელი და სატანჯველია; შეიძლება პირადათ ჩემთვის განსაკუთრებით ძნელია მისი მოხსნა, რადგან მე ყოველთვის ვიყავი მისი ინტერესანტი, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს რეალური ოცნებაა. მაგრამ მე დავრწმუნდი, რომ „სულიერ განწყობილების ლოღიკა" უნდა შეიცვალოს ფაქტების ლოღიკით, რომ სუბიექტიური უნდა ემსხვერპლოს საზოგადოებრივს. მახსოვს ოდესღაც ა. ბებელი სწერდა. ,,მე ოპპორტიუნისტი ვარ იმიტომ, რომ რადგან არ მსურს შუბლი შევახეთქო კედელსაო''. ჩვენ უნდა გვეყოს სითამამე განვიმეოროთ ბებელის ეს სიტყვები, ჩვენ უნდა გვქონდეს გამბედაობა ამ საკითხის მოხსნისათვის, რადგან იგი ხალხის შუბლს ემუქრება, რადგან მე ვიცი, რომ ხანდახან განწირულ საკითხის მოხსნისათვის მეტი გამბედაობაა საჭირო, ვიდრე თვითმკვლელობისათვის მომაკვდავ ოცნებასთან ერთად. ხანდახან თავის დროზე საკუთარ დამარცხების აღიარება გაცილებით უფრო მწარეა, ვიდრე უმიზნო და დამღუპველ ბრძოლის გაგრძელება, აჯანყების საკითხის მოხსნა მით უფრო ძნელია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია ადვილად ასანთები მასალა და ბევრია ისეთი კაცი, რომლებმაც თავისი ბედი მჭიდროთ გადააბეს ამ საკითხს და აგრეთვე იმიტომაც, რომ ბევრს ჰგონია, თითქოს ამ საკითხის მოხსნასთან ერთად საზოგადოდ იხსნება საქართველოს და ჩვენი ყოველდღიურ ოცნების საკითხი. და სწორედ ამიტომ არის საჭირო მეტი გამბედაობისა და თვით-განწირვის გამოჩენა, სწორედ ამიტომ არის საჭირო პირადის გამოყოფა საზოგადოებრივისაგან.

რაც შეეხება საქართველოს საკითხს, მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი ხანია განვლო ის ხანამ, როდესაც შეიძლებოდა გონება-გაღვიძებულ ერის გათელვა, როდესაც შეიძლებოდა ეროვნულ საკითხისათვის გვერდის ახვევა და მისი უკუგდება. უნდა გვახსოვდეს, რომ მე-20 საუკუნემ მუშათა კლასის ემანსიპაციის გრანდიოზულ საკითხთან ერთად წამოაყენა ერთა განთავისუფლების დიდი საკითხი და ამ პირობებში, რასაკვირველია, ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს კოლონიათ აქციოს, ან დაამონოს, ან გაანადგუროს საქართველო. აჯანყების საკითხის გადაჭრით მოხსნა გაანთავისუფლებს ქართველ ერს საშიშარ ილიუზიისაგან და მით საშვალებას მისცემს მას უფრო გაბედულათ და ენერგიულათ წავიდეს წინ ეროვნულ-კულტურულ აღორძინების გზით. ყოველ შემთხვევაში სასოწარკვეთილებისათვის, უიმედობისა და პესსიმიზმისათვის არ არსებობს არავითარი საფუძველი. ყველაზე უარესი პოლიტიკა არის ის, რომელიც ნაკარნახევია უიმედობით და სასოწარკვეთილებით...

მე ვათავებ, ამხანაგებო. უკვე სამ წელიწად ნახევარზე მეტია, რაც მე არ მომიმართავს თქვენთვის საჯაროთ. საქართველოში დაბრუნებისას, მე იმედი მქონდა, რომ მოგმართავდით თქვენ არა ასეთი სიტყვებით. მაგრამ ფაქტების ლოღიკა ჩემს სურვილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და გააფთრებულ ბრძოლისაკენ მოწოდების მაგიერ, მე მოგიწოდებთ ბრძოლის ყოველგვარ ფორმის უარყოფისაკენ. არ ვიცი, როდის მოვახერხებ, ან მოვახერხებ თუ არა ოდესმე თქვენთან ლაპარაკს, რადგან მეტის მეტათ აშკარათ და პირდაპირ ავიღე ჩემს თავზე მძიმე პასუხისმგებლობა და ამიტომ უფრო დაბეჯითებით გეუბნებით ეხლა:

იცოდეთ, რომ ამ სტრიქონებს მე გწერთ სრულიად გულწრფელად, რადგან ღრმად დავრწმუნდი იმაში, რასაც ეხლა ვწერ, რადგან არავითარ ჩეკას არ ძალუძს დამაწერინოს ის, რაც მე არ მსურს. ამაში დარწმუნებული იყავით. მე სრულიად არა ვიცი რა ჩემი მომავალ ბედიღბლის შესახებ. ვიცი მხოლოდ ის, რომ თუ ეს აუცილებლათ საჭირო გახდება, მე თვითონ მოვიახლოვებ ჩემსკენ სიკვდილს, რაც მე საკმაოთ მამშვიდებს. მაგრამ თუ კიდეც განწირული ვარ სიკვდილზე, მე სიკვდილის პირის წინაც მექნება გამბედაობა უფრო გადაჭრით დავადასტურო ამ წერილის სიმართლე.

ამხანაგური სალამით **ვალიკო ჯუღელი.**

საქ. ს.-დ. მ. პ. ც. კ-ის და საქ. ს.-დ. მ. პ. საზღვარ-გარ. ბიუროს წევრი.

1924 წ. 24 აგვისტო.
ამ.-კავ. საგანგებო კომისია
კამერა № 19.

ჩვენს წითელ ჯარში

პირველ ლეგიონის საკავშირო გუნდი.

პირველ ლეგიონის საკავშირო გუნდი ერთ სამაგალითო ნაწილად უნდა ჩაითვალოს ქართულ წითელ ჯარში. თავიდანვე ჩვენი ნაწილისათვის ისეთი ახალწვეულები იქნენ ამორჩეული, რომლებიც კარგად და ადვილად შეითვისებდენ იმ სპეციალობას, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი საქმე.

კავშირის საქმე პირველი საქმეა, არა თუ ჯარში, არამედ სამოქალაქო აღმშენებლობაშიც.

ჩვენი წითელი არმიელები ყველა წერა კითხვის მცოდნეა. გვყავდა ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ამხანაგი, მაგრამ ენერგიულმა შრომამ ის გაანთავისუფლა ამ უბედურებისაგან.

საუცხოვო მეგობრული განწყობილებაა ჩვენი გუნდის წითელ არმიელებსა და უფ-პოლიტ შემადგენლობის შორის; ეს კი ხელს გვიწყობს ჩქარა გავიგოთ და ასეთივე ჩქარა იქნეს დაძლეული ერთი მეორეს გაჭირვება.

რა გაკეთდა სატელეფონო საქმეში.

ჩვენმა არმიელბმა დიდი ხანია, რაც შეისწავლეს საველე ტელეფონის დაშლა და აწყობა, მისი თითეული ნაწილის დანიშნულება და სხვა.

შემდეგ დაწვრილებით იქნა განვლილი მაგნეტიზმისა მნიშვნელობა სატელეფონო საქმეში, ელექტრო კავშირის ტაქტიკა, ხაზების გაყვანა ტელეფონის სადგურების მოწყობა, და სიგნალიზაცია „ხმისანი“ მირზეს ასოებით. ამასთანავე კარგად შევისწავლეთ ღამით კავშირის დაჭერა ელექტრო შუქის საშვალებით. ამისთვის პაწია აპარატი თვით ამხ. ადამიამ დაამზადა, რომელიც ადვილი სატარებელია ჯიბით. მშვენივრად ემსახურება აღნიშნულ საქმეს.

ამნაირად ჩვენი საკავშირო გუნდი სპეციალური საქმის შესწავლაში ძლიერ მიწევს წინ.

აკ. მუქერია.

მუშაობა გაჩაღდა.

მესამე ტერლეგიონის მესამე ასეულში აქამდე არ არსებობდა ლენინის კუთხე. რაც ძლიერ აჩნდა ათასეულის კულტპოლიტმუშაობას.

როგორც იქნა შევსძელით კუთხის მოწყობაც.

წითელ არმიელების და უფ-პოლიტშემადგენლობის მონდომება და სათანადო ენერგიამ ძლიერ შეგვიწყო ხელი ამ საქმეში.

განსაკუთრებით დიდი შრომა მოუძღვით კუთხის დაარსებაში ათასეულის თავს ამხ. ნაფეტვარიძეს და პოლიტხელ ახობაძეს, რომლებიც არა თუ მარტო წითელი კუთხის მოგვარებისათვის არიან მადლობის ღირსი, არამედ იმ მამაშვილურ მზრუნველობისთვის, რომელსაც ისინი უწევენ ათასეულის თითეული წ. არმიელს. დარწმუნებული ვართ სანამ საბჭოთა ხელისუფლებას ეყოლება ასეთი ენერგიული მუშაკები მტერი ვერაფერს დაგვაკლებს.

გვ — ა.

მართლმსაჯულების მონოპოლია.

პირველყოფილ საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოთ აღნიშნული შრომის დანაწილება, სადაც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი სახელმწიფოთა მზგავსი ორგანიზაცია, არ იყო სახელმწიფოებრივათ მოწესრიგებული მართლმსაჯულება და მის მაგიერობას ასრულებდა თვითგასამართლება. ყოველი ადამიანი ან ნათესაური ჯგუფი თვით იცავდა თავს სხვისი ბოროტმოქმედებისაგან და თვითვე ასამართლებდა დამნაშავეს. იმ დროს სხვანაირათაც შეიძლებოდა. მაგრამ დროთა მსვლელობაში, რამდენათაც სახელმწიფოებრივობა ფესვებს იდგამდა და მაგრდებოდა საზოგადოებაში მისი ძალა და გავლენა, იმდენათ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა ხდებოდა საზოგადოებრივ საქმეთ, დამნაშავის გასამართლება გადადიოდა სახელმწიფოს ხელში და ბოლოს ეს უკანასკნელი გახდა ამ საზოგადოებრივი საქმის ერთათ ერთი მონოპოლისტი ანუ პატრონი.

ეს პროცესი საუკუნოების განმავლობაში ვითარდებოდა და საბოლოოთ გადაწყდა მხოლოდ უკანასკნელ საუკუნოებში და ისიც პირველ ყოვლისა განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნებში. ჩამორჩენილ ქვეყნებში ახლაც შეხვდებით ძველ დროის თვითგასამართლების ნაშთებს: მაგ., ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ჩამორჩენილ კუთხეებში რამდენიმე წლის უკან კიდევ შეხვდებოდით ეგრეთწოდებულ „სისხლის აღებას“. დღეს თვითგასამართლებას არც საბჭოთა ქვეყნებში და არც მის გარეშე დამცველი არავინ ყავს და მთელი მართლ-მსაჯულება შეკუმშულია სახელმწიფოს ხელში, კანონით დაწესებულ მის ორგანოებში.

ი. ლორთქიფანიძე.

(დასასრული შემდ. №)

ჩვენი სპორტიული წრე.

დაარსდა თუ არა მეექვსე ლეგიონი, მოეწყო ჩვენი კლუბიც, რომლის სხვა და სხვა წრეებთან ერთათ დაარსებულ იქნა სპორტიული წრეც.

სპორტ-წრიდან ფეხბურთისთვის გამოყოფილია 11 კაცი, რომელთა შორის უმრავლესობა წითელ არმიელებსა. წრეს ხელმძღვანელობს ამხ. კოდუა, რომელიც შესაფერი ცოდნითა და გამოცდილებით არის აღჭურვილი.

დიდ დახმარებას უწევს საკლუბო მუშაობას აგრეთვე მეთაური ბრიგაძეც.

ჩვენ სპორტ-წრეებში სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა და ეტყობა, რომ თანდათანობით წინ მიიწევს თავისი საქმის სათანადო შეთვისებაში.

წრემ პირველ ვარჯიშობის დროს გაიმარჯვა მეოთხე ლეგიონის არეზე.

მეორე ვარჯიშობის დროს სურამის ორგანიზაციასთან გამარჯვებული გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წრეს სულ ახლად ჩაეყარა საფუძველი, ის მაინც არ ჩამოუვარდება სხვა ლეგიონებს და იმედია ერთი პირველ ადგილთაგანს დაიჭერს მათ შორის.

სამხკორი: **ხ. გეგია.**

მეხუთე ტერ-ლეგიონი.

22 აგვისტოს, მოხთა მეხუთე ლეგიონის უფ პოლიტ შემადგენლობის და წითელ-არმიელთა საერთო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ხვიჩია.

დღის წესრიგს შეიცავდა:

1. მოხსენება „რემედის“ მნიშვნელობის შესახებ.
2. სამნეო საკანტროლო კომისიის არჩევნები.
3. მიმდინარე კითხვები.

პირველი საკითხის შესახებ შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ლეგიონის პასუხისმგებელ ორგანიზატორმა ამხ. მ. მამარდაშვილმა მომხსენებელმა ნათლად და მკაფიოთ დაახასიათა „რემედის“ მნიშვნელობა, მისი წარმოშობის ისტორია და მოუწოდა, როგორც უფ-პოლიტ შემადგენლობას, ისე წითელ არმიელებსაც გახდენ „რემედის“ წევრებათ. მოხსენებამ გამოიწვია მრავალი შეკითხვები, როგორც წითელ არმიელების ისე უფ-პოლიტშემადგენლობიდან, რასაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მეორე საკითხის მნიშვნელობის შესახებ ახსნა-განმარტებას წითელ არმიელებს აძლევს ამხ. მ. მამარდაშვილი, რის შემდეგ არჩეული იქნა საკანტროლო კომისია 5 წევრისაგან შემდგარი, რომელშიდაც უმეტესად შედიან წითელ არმიელები.

მიმდინარე კითხვებში გარჩეული იქნა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხების მთელი რიგი.

მატიანე.

პარტიული ცხოვრება.

მე-6-სე ქართულ ლეგიონის მე-3-მე კომ-უჯრედში.

დიდი ხანი არ არის, რაც მე-6-სე ტერ-ლეგიონმა მიიღო დამოუკიდებელი სახე.

პირველ-ხანებში ცხადია ლეგიონი, როგორც ახალი შემდგარი ვერ იქნებოდა თავის სიმაღლეზე, მაგრამ უფ-პოლიტ-შემადგენლობის დაუღალავმა შრომამ და ენერგიამ, შედეგათ მოგვცა მისი ჩამოყალიბებული სახე. დღეს ყოველ დარგში ენერგიული მუშაობაა ლეგიონში.

არის დამაბრკოლებელი მიზეზებიც, მაგრამ იმედია მომავალში ესეც გამოსწორებული იქნება.

დიდი ყურადღება ექცევა პარტმუშაობას. ბიურო კოლექტივი პირნათლად ასრულებს თავის საქმეს.

ჯერ-ჯერობით დაარსებულია სამი კომ-უჯრედი.

კრებები სისტემატიურად იმართება.

18 აგვისტოს შესდგა კომ-უჯრედის ღია კრება. სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შორის დღის წესრიგში იდგა კითხვა მს. იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ გამართლე დემონსტრაციის შედეგების შესახებ.

მოხსენება გააკეთა ამხ. ს. გეგიამ ის ფართედ ეხება გასულ იმპერიალისტურ ომს, მის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს შემდეგ გადადის მომავალ მოსალოდნელ იმპ. ომის გარშემო.

ახასიათებს თუ როგორ უყურებს მსოფლიო მუშათა კლასი მოსალოდნელ სისხლის ღვრას. როგორი ლოზუნგებით ირაზმება დღეს მუშათა კლასი და სხვა.

კრებამ მოისმინა აღნიშნული მოხსენება და მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ ამისა გაკეთებული იქნა მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მნიშვნელობაზე. კრებამ ერთხმად დაადგინა: აიღოს კომ-უჯრედმა შეფობა თავის უჯრედში მყოფ ასეულებზე და ენერგიულად შეუდგეს მათი განათლების საქმეს-

პარტ. ალ. აცანელი.

ქ. ცხენ. ლეგიონის პარტკრება.

13 აგვისტოს 1924 წ. ქ. ცხენ. ლეგიონში მოხდა გაერთიანებული ლეგპარტკრება.

პირველ საკითხზე კომინტერნის მეხუთე კონგრესის შესახე მოხსენება გააკეთა ამხ. ფოფხაძემ, რომელმაც ვრცლათ გააშუქა მთელი კონგრესის მიმდინარეობა და რეზოლიუციები, რის შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

შემდგ საკითხათ იდგა ზოგიერთ ამხანაგების პარტკანდიდატებათ მიღების შესახებ. ამხ. სანიკიძემ და ჯოგნაძემ და ცხვედიანმა, გაიგეს რომ პარტიულებს აღარ უშვებენ უვადო შვებულებაში და თავიანთი განცხადებები კანდიდატებათ მიღების შესახებ პარტიაში უკან მოითხოვეს. აღნიშნული ამხანაგები ისედაც არ იქნენ მიღებული პარტიაში.

და ამის შემდეგ პარტკანდიდატები გადარიცხული იქნენ კრების მიერ სამი კომკავშირელი წ. მეთაურები ამხ. ამხ. ბუკია, ოთარიშვილი და ურუმაშვილი.

ამის შემდეგ კრებაზე შამოტანილი იქნა განცხადება წითელ მეთაურ და კომკავშირელ ამხ. ჩიჩუას ცუდი საქციელის შესახებ.

ამხ. ჩიჩუამ ბანაკიდან გაიყვანა სახაზინო ცხენი და თავის ცოლის და ასეირნებდა. აგრეთვე აღნიშნული იქნა მისი ცუდი საქციელი, რომ ის ყოველთვის იმსახურებს წითელ არმიელებს. კრებამ ყველა ესენი მიიღო რა მხედველობაში დაადგინა: ამხ. ჩიჩუა გამორიცხულ იქნეს ახკომკავშირის წევრობიდან და თუ გამოსწორდება შემდეგ მიღებული იქნეს პარტიაში საერთო წესით.

კრებაზე მოხდა სხვა და სხვა ხასიათის ორგანიზაციებისათვის ამხანაგების არჩევა და დავიშალენით.

ცისპირელი.

ახალი ამბები.

— **სწავლის დაწყება.** განათლების კომისარიატი აცხადებს, რომ სწავლა ყველა სასწავლებლებში, გარდა უმაღლესი სასწავლებლებისა, დაიწყება 20 ენკენისთვეს.

— **ლენინის სახელობის ინვალიდთა სახლი.** ახალქალაქში დაამთავრეს ლენინის სახელობის ინვალიდთა სახლის აშენება.

— **ფიზკულტურის საერთაშორისო დღე.** ფიზიკური კულტურის საერთაშორისო დღეს 7 სექტემბერს, რესპუბლიკის ფარგლებში მოეწყობა სპარტაკის გამოსვლები.

— **ელექტრო-სადგური ტყიბულში.** მდინარე ტყიბულზე შენდება წყლით მამოძრავებელი ელექტრო-სადგური, რომელიც მიაწვდის სინათლეს ახლო-მახლო რაიონებს.

— **ახალი წითელი სასადილო.** ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის მიერ დავიდოვის ქუჩაზე № 4 გახსნილია წითელი სასადილო.

— **მკურნალობა გოგირდის წყლებით.** ზაფხულის განმავლობაში გოგირდის წყლებით მკურნალობა გაეწია 1366 მუშა-მოსამსახურეს და მათ ოჯახებს.

— **საავადმყოფო დუშეთში.** დუშეთის აღმასკომი შეუდგა ადგილობრივ საავადმყოფოს შეკეთებას და სურსათ-სანოვაგის მარაგის შეძენას.

— **იაფი ხორცი.** 1-ლ სექტემბრიდან კოოპერატივებში დაიწყება ხორცით ვაჭრობა.

— **ფული შვებულებისათვის.** იმათ, ვინც შვებულება მიიღეს ავადმყოფობის გამო, საექიმო-საკონტროლო კომისიებისაგან უნდა მიიღონ ე. წ. შვებულების ფულებიც თანახმად ტფ. დამზღვევ კასის დადგენილებისა.

— **ფოსტა მივარდნილ სოფლებში.** ქალაქისა და სოფლის მუშების დაახლოების მიზნით და კომპარტიის მეცამეტე ყრილობის დადგენილების თანახმად სოფლებში ქოხ-სამკითხველოებთან არსდება ცალკე საფოსტო მაგიდები.

— **საავადმყოფოს გადაცემა.** პროფესიონალურ ავადმყოფობათა ამხ. კამოს სახელობის ინსტიტუტი გადაეცა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს.

— **უმუშევრების გაწმენდა.** ამჟამად სწარმოებს შრომის ბირჟაზე უმუშევართა გაწმენდა. ის უმუშევარნი, რომელნიც არ ცხადდებიან მექანიკურად, იქნებიან ამორიცხულნი.

— **პროლეტკულტში.** საქართველოს პროლეტკულტში მეცადინეობა განახლდება მომავალ 10 სექტემბერს.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1400 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.